


მოდული 6—საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება



IFRS® Foundation
დამხმარე მასალა
IFRS for SMEs® სტანდარტისთვის

მათ შორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ
2015 წლის ოქტომბერში გამოცემული
*მსს ფასს სტანდარტის მე-6 განყოფილების - „საკუთარი კაპიტალის ცვლილებების
ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება“ -
სრული ტექსტი*

*ვრცელ განმარტებებთან, თვითშეფასების კითხვებთან და სიტუაციურ მაგალითებთან
ერთად*

IFRS® Foundation
30 Cannon Street
ლონდონი EC4M 6XH
გაერთიანებული სამეფო

2018 წლის აგვისტოს შემდეგ:
7 Westferry Circus
Canary Wharf
ლონდონი E14 4HD
გაერთიანებული სამეფო

ტელეფონი: +44 (0)20 7246 6410
ელ. ფოსტა: info@ifrs.org
ვებგვერდი: www.ifrs.org

პუბლიკაციების დეპარტამენტი
ტელეფონი: +44 (0)20 7332 2730
ელ. ფოსტა: publications@ifrs.org

წინამდებარე მოდული მომზადებულია ფასს ფონდის (შემდგომში ფონდი) საგანმანათლებლო გუნდის მიერ. იგი არ არის დამტკიცებული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (შემდგომში საბჭო) მიერ. ეს მოდული შემუშავებულია, რათა დაეხმაროს IFRS for SMEs® სტანდარტის (შემდგომში სტანდარტი) მომხმარებლებს სტანდარტის დანერგვასა და თანმიმდევრულ გამოყენებაში.

წინამდებარე პუბლიკაციასთან დაკავშირებული ყველა უფლება, მათ შორის საავტორო უფლება, ეკუთვნის IFRS® Foundation-ს.

სავტორო უფლება © 2018 ფასს ფონდი. ყველა უფლება დაცულია.

ელ. ფოსტა: info@ifrs.org ვებგვერდი: www.ifrs.org

პასუხისმგებლობაზე უარის თქმა: ყველა ნაგულისხმევი გარანტია, მათ შორის, მაგრამ არამხოლოდ, დამაკმაყოფილებელი ხარისხის, კონკრეტული მიზნით გამოყენებისთვის შესაფერისობის, სავტორო უფლებების დაურღვევლობისა და სიზუსტის გარანტია, გამორიცხულია იმ ზომით, რამდენადაც შესაძლებელია მათი გამორიცხვა სამართლებრივი თვალსაზრისით. შესაბამისი კანონმდებლობით დაშვებული ზომით, საბჭო და ფონდი პირდაპირ იხსნიან ყველა პასუხისმგებლობას, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულებით, სამოქალაქო სამართალდარღვევით ან სხვა მიზეზით (მათ შორის, მაგრამ არამხოლოდ პასუხისმგებლობით დაუდევრობის ან უმოქმედობის გამო) ნებისმიერი პირის მიმართ ნებისმიერ მოთხოვნასთან, ან ნებისმიერი ხასიათის ზიანთან დაკავშირებით, რომელიც პირდაპირ, ან არაპირდაპირ გამომდინარეობს შემდეგიდან: (i) წინამდებარე პუბლიკაციის სრულ, ან ნაწილობრივ შინაარსზე დაყრდნობით განხორციელებული ნებისმიერი მოქმედება, ან ნებისმიერი მოქმედების, ან უმოქმედობის შედეგები; და (ii) წინამდებარე პუბლიკაციაში არსებული ნებისმიერი, ან სხვა ინფორმაციისა და მასალების გამოყენება. შესაბამისი კანონმდებლობით დაშვებული ზომით, საბჭოს, ფონდს, ავტორებსა და გამომცემლებს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა ნებისმიერი ხასიათის ზიანთან, ან ზარალთან დაკავშირებით, რომელიც გამოწვეულია წინამდებარე პუბლიკაციის, ან მისი თარგმანის გამოყენებით, ან/და მის შინაარსზე დაყრდნობით, მათ შორის, მაგრამ არამხოლოდ პირდაპირ, არაპირდაპირ, გაუთვალისწინებელ, ან ირიბ ზიანთან, სადასაჯულო ზიანის ანაზღაურებასთან, ჯარიმებთან ან ხარჯებთან დაკავშირებით.

წინამდებარე პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არ წარმოადგენს რჩევას, იგი არ უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც გადაწყვეტილების მიღების საფუძველი და არ უნდა ჩაითვალოს კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირისგან მიღებული რჩევის შემცვლელად. შესაბამისი ბუღალტრული მოთხოვნებისთვის გამოყენებული უნდა იქნეს საბჭოს მიერ გამოქვეყნებული სტანდარტი.

წინამდებარე პუბლიკაციაში გამოყენებული ნებისმიერი პირის, კომპანიის ან/და ადგილის დასახელება გამოწვეულია და შემთხვევითია რეალურ ადამიანებთან, საწარმოებთან ან ადგილებთან ნებისმიერი მსგავსება.

გამოყენების უფლება: მართალია, ფონდი ამ მოდულის საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყენების მომხრეა, მაგრამ მისი გამოყენება უნდა მოხდეს ქვემოთ მოცემული გამოყენების პირობების შესაბამისად. თუ აპირებთ ჩვენი მასალების კომერციულ პროდუქტში ჩართვას, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ, რადგან ამ შემთხვევაში დაგჭირდებათ ინდივიდუალური ლიცენზია. ჩვენი სტანდარტების გამოყენებასთან დაკავშირებული დეტალების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ ეწვიოთ ბმულს www.ifrs.org/issued-standards.

უნდა დარწმუნდეთ, რომ სარგებლობთ ჩვენი ვებგვერდზე არსებული ყველაზე ახალი მასალებით. ამ მოდული გამოყენების უფლებას ვადა გაუვა მოდულის გამოყენების შეწყვეტის ან განახლების შემთხვევაში, ასეთ დროს, საჭიროა მისი გამოყენების ან/და მისი ხელმისაწვდომობის შეწყვეტა. თქვენი ინდივიდუალური პასუხისმგებლობა დარწმუნდეთ, რომ იყენებთ შესაბამის მასალას, შეამოწმოთ ფონდის ვებგვერდი, რათა მიიღოთ ინფორმაცია სტანდარტში შეტანილი ცვლილებების, მსს-ს დანერგვის ჯგუფის ჯერ არ ასახული კითხვების და პასუხების, ან/და მოდულების ახალი ვერსიების შესახებ.

გამოყენების პირობები

- 1) მომხმარებელს უფლება აქვს მოახდინოს ამ მოდულის სრული ან ნაწილობრივი რეპროდუქცია ნაბეჭდი ან ელექტრონული დოკუმენტის სახით, იმ პირობით, რომ:
 - (ა) დოკუმენტი მონაწილეებს უფასოდ მიეწოდებათ;
 - (ბ) არ იყენებთ და არ ახდენთ რეპროდუქციას და არ აძლევთ სხვა პირებს უფლებას გამოიყენონ ან მოახდინონ მოდულზე, ან მოდულში გამოსახული ფონდის ლოგოს რეპროდუქცია;
 - (გ) არ იყენებთ და არ ახდენთ მოდულზე ან მოდულში წარმოდგენილი სასაქონლო ნიშნების რეპროდუქციას, როდესაც სრულად, ან ნაწილობრივ იყენებთ ამ მასალას საკუთარ დოკუმენტაციაში; და
 - (დ) უფლებად გაქვთ ეს მოდული სრულად განათავსოთ თქვენს ვებგვერდზე, თუ დაურთავთ ჩვენი ვებგვერდის მკაფიო ბმულს (დამატებითი ინფორმაციის მისაღებად თქვენი ვებგვერდის ჩვენს ვებგვერდთან ბმის შესახებ, გთხოვთ, იხილოთ [პირობების გვერდი](#)).
- 2) სასაქონლო ნიშნები მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილ ნიშნებს.
- 3) ამ პუბლიკაციის ნაწილის კოპირების ან ციტირებისას სხვა დოკუმენტში შესატანად აუცილებელია, რომ:
 - (ა) დოკუმენტაცია მოიცავდეს სავტორო უფლების აღიარებას;
 - (ბ) დოკუმენტაცია მოიცავდეს განცხადებას, რომ ამ მოდულის ავტორი არის ფონდი და მოდულის დედანი ხელმისაწვდომია ფასს-ის ვებგვერდზე www.ifrs.org;
 - (გ) დოკუმენტაცია მკაფიო ადგილას სათანადო ფორმით მოიცავდეს პასუხისმგებლობაზე უარის თქმას, როგორც ეს წარმოდგენილია ზემოთ;
 - (დ) ციტატა მოცემული უნდა იყოს ზუსტად; და
 - (ე) ციტატა არ უნდა იქნეს გამოყენებული შეცდომაში შემყვან კონტექსტში.

თუ აპირებთ ამ მოდულის ნებისმიერი ნაწილის ბეჭდურ ან ელექტრონული ფორმით მიწოდებას ნებისმიერი სხვა მიზნით, გთხოვთ, დაუკავშირდეთ ფონდს, რადგან დაგჭირდებათ წერილობითი ლიცენზია, რომელიც შესაძლოა მიიღოთ, ან ვერ მიიღოთ. დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, დაუკავშირდეთ სალიცენზიო ჯგუფს (www.ifrs.org/legal/education-material-licensing).

პუბლიკაციისა და სავტორო უფლებების საკითხებთან დაკავშირებით, გთხოვთ, მიმართოთ ფასს ფონდის პუბლიკაციების დეპარტამენტს:

ელ. ფოსტა: publications@ifrs.org ვებგვერდი: www.ifrs.org

სასაქონლო ნიშნები



ფასს ფონდის მსოფლიოში რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშნებს შორისაა: 'eIFRS®', 'International Accounting Standards®', 'IAS®', 'IASB®', 'IASB®' ლოგო, 'IFRIC®', 'International Financial Reporting Standards®', 'IFRS®', 'IFRS®' ლოგო, 'IFRS Foundation®', 'IFRS for SMEs®', 'IFRS for SMEs®' ლოგო, 'Hexagon Device', 'NIIF®' და 'SIC®'. მოთხოვნის შემთხვევაში ფასს ფონდიდან ხელმისაწვდომია დამატებითი ინფორმაცია ფასს ფონდის სასაქონლო ნიშნების შესახებ.

სარჩევი

შესავალი	1
<i>მს ფასს</i> სტანდარტის რომელი ვერსიაა გამოყენებული?	1
წინამდებარე მოდული	1
<i>მს ფასს</i> სტანდარტი	2
შესავალი - სტანდარტის მოთხოვნები	3
რა შეიცვალა <i>მს ფასს</i> სტანდარტში 2009 წლის შემდეგ?	4
მოთხოვნები და მაგალითები	4
მოქმედების სფერო	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება	9
მნიშვნელოვანი შეფასებები და სხვა მსჯელობები	12
შედარება <i>ფასს</i> სტანდარტების სრულ ვერსიასთან	13
შეამოწმეთ თქვენი ცოდნა	14
გამოიყენეთ ცოდნა	20
სიტუაციური მაგალითი 1	20
სიტუაციური მაგალითი 1 - პასუხი	21
სიტუაციური მაგალითი 2	23
სიტუაციური მაგალითი 2 - პასუხი	25
სიტუაციური მაგალითი 3	28
სიტუაციური მაგალითი 3 - პასუხი	29
სიტუაციური მაგალითი 4	30
სიტუაციური მაგალითი 4 - პასუხი	31

მოდული 6—საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

ამ მოდულში განხილული ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნები, რომლებიც ეხება მცირე და საშუალო საწარმოებს (მსს) განსაზღვრულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (საბჭო) მიერ 2015 წლის ოქტომბერში გამოქვეყნებული *მსს ფასს* სტანდარტით.

ეს მოდული მომზადებულია ფასს ფონდის საგანმანათლებლო გუნდის მიერ.

მსს ფასს სტანდარტის მე-6 განყოფილების - „საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება“ შინაარსი ამ მოდულში ნაცრისფრად არის მოცემული. *მსს ფასს* სტანდარტის ტერმინების ლექსიკონი (ლექსიკონი) ასევე მოთხოვნების ნაწილია. ლექსიკონში განსაზღვრული ტერმინები მოცემულია მუქი შრიფტით, როდესაც ტერმინი პირველად შემოდის მე-6 განყოფილების ტექსტში. შენიშვნები და მაგალითები, რომლებიც მომზადებულია საგანმანათლებლო გუნდის მიერ, არ არის მოცემული გამოყოფილი ფერით. ეს შენიშვნები და მაგალითები არ არის *მსს ფასს* სტანდარტის ნაწილი და არ არის დამტკიცებული საბჭოს მიერ.

შესავალი

მსს ფასს სტანდარტის რომელი ვერსიაა გამოყენებული?

როდესაც 2009 წელს პირველად გამოქვეყნდა *მსს ფასს* სტანდარტი, საბჭომ განაცხადა, რომ განახორციელებდა სტანდარტის საწყის სრულ გადასინჯვას საწარმოების მიერ სტანდარტის გამოყენების პირველი ორი წლის გამოცდილებისა და შედეგად ცვლილებების შეტანის საჭიროების შესაფასებლად. ამ მიზნით, 2012 წლის ივნისში საბჭომ გამოაქვეყნა მოთხოვნა გადასინჯვაზე: *მსს ფასს-ის სრული გადასინჯვა*. შემდგომ ეტაპზე, 2013 წელს, გამოქვეყნდა *მსს ფასს* სტანდარტში შესატანი ცვლილებების წინასწარი ვერსია, ხოლო 2015 წლის მაისში საბჭოს მიერ გამოიცა *მსს ფასს* სტანდარტის 2015 წლის შესწორებები.

2015 წლის მაისში გამოქვეყნებულ დოკუმენტში შეტანილი იყო მხოლოდ შესწორებული ტექსტი, ხოლო 2015 წლის ოქტომბერში საბჭომ გამოსცა სტანდარტის სრულად შესწორებული ვერსია, რომელშიც ასახული იყო მცირე დამატებითი სარედაქციო ხასიათის ცვლილებები და ასევე 2015 წლის მაისის არსებითი შესწორებები. ამ ვერსიას ეყრდნობა წინამდებარე მოდული.

2015 წლის ოქტომბერში გამოცემული *მსს ფასს* სტანდარტი მოქმედია 2017 წლის 1-ელ იანვარს და მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართული იყო სტანდარტის ვადაზე ადრე გამოყენება, მაგრამ, ამ შემთხვევაში, საწარმო ვალდებული იყო გაემჟღავნებინა ეს ფაქტი.

წინამდებარე მოდულში მოცემული ნებისმიერი მითითება *მსს ფასს* სტანდარტზე შეეხება 2015 წლის ოქტომბერში გამოცემულ ვერსიას.

წინამდებარე მოდული

მე-3 განყოფილება - „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ - განსაზღვრავს წარდგენის ზოგად მოთხოვნებს, ხოლო განყოფილებები 4-8 ყურადღებას ამახვილებს ფინანსური ანგარიშგებების წარდგენის მოთხოვნებზე.

მოდული 6—საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

წინამდებარე მოდული ეთმობა პერიოდის განმავლობაში საწარმოს საკუთარი კაპიტალის ცვლილებების წარდგენის მოთხოვნებს *მსს ფასს* სტანდარტის მე-6 განყოფილების - „საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება“- გამოყენებით. იგი წარადგენს საკითხს და ოფიციალურ ტექსტს ამდიდრებს ახსნა-განმარტებებით და მაგალითებით, რომლებიც შედგენილია მოთხოვნების უკეთ გასაგებად. ეს მოდული განსაზღვრავს იმ მნიშვნელოვან მსჯელობებს, რომლებიც საჭიროა საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგების წარდგენისას. ამასთან, წინამდებარე მოდულში წარმოდგენილია კითხვები სტანდარტით დადგენილი მოთხოვნების შესახებ თქვენი ცოდნის შესამოწმებლად და სიტუაციურ მაგალითებს, რომლებიც მოთხოვნების გამოყენების პრაქტიკულ შესაძლებლობას იძლევა, რათა აღნიშნული ანგარიშგებების წარდგენა *მსს ფასს* სტანდარტის გამოყენებით მოხდეს.

ამ მოდულის წარმატებით დასრულების შემდეგ, თქვენ შეძლებთ, *მსს ფასს* სტანდარტის ფარგლებში:

- იცოდეთ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების მიზანი;
- იცოდეთ გარემოებები, რომელთა დროს საწარმოს სრული შემოსავლის ანგარიშგებისა და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების განცალკევებით წარდგენის ნაცვლად უფლება აქვს წარადგინოს მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება. იცოდეთ მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგების მიზანი;
- გესმოდეთ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგების წარდგენის მოთხოვნები; და
- შეგეძლოთ საკუთარი კაპიტალისთვის სააღრიცხვო პოლიტიკის რეტროსპექტულად გამოყენებისა და წინა პერიოდის შეცდომების რეტროსპექტულად გადაანგარიშების შედეგების წარდგენა მე-10 განყოფილების - „სააღრიცხვო პოლიტიკა, შეფასებები და შეცდომები“- შესაბამისად.

მსს ფასს სტანდარტი

მსს ფასს სტანდარტი გამიზნულია იმ საწარმოების საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებისთვის რომელთაც არ გააჩნიათ საჯარო ანგარიშვალდებულება (იხ. პირველი განყოფილება - „*მცირე და საშუალო საწარმოები*“).

მსს ფასს სტანდარტი შედგება სავალდებულო მოთხოვნებისა და სხვა არასავალდებულო მასალისგან.

არასავალდებულო მასალა მოიცავს:

- წინასიტყვაობას, რომელშიც მოცემულია *მსს ფასს* სტანდარტის ზოგადი შესავალი და განმარტებულია მისი მიზანი, სტრუქტურა და უფლებამოსილება;
- მითითებებს დანერგვაზე, რომელშიც შედის საილუსტრაციო ფინანსური ანგარიშგებები და ანგარიშგების წარდგენისა და გამჟღავნების მოთხოვნების ცხრილი;
- დასკვნების საფუძველს, რომელშიც შეჯამებულია საბჭოს მიერ განხილული ის ძირითადი საკითხები, რომლებიც გახდა 2009 წელს გამოცემული *მსს ფასს* სტანდარტისა და 2015 წლის შესწორებების საფუძველი; და

მოდული 6—საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

- საბჭოს იმ წევრის განსხვავებულ მოსაზრებას, რომელიც არ დაეთანხმა 2009 წლის *მსს ფასს* სტანდარტის გამოცემას და ასევე საბჭოს იმ წევრის განსხვავებულ მოსაზრებას, რომელიც არ დაეთანხმა 2015 წლის შესწორებებს.

მსს ფასს სტანდარტში, ლექსიკონი წარმოადგენს სავალდებულო მოთხოვნების ნაწილს. *მსს ფასს* სტანდარტის 21-ე განყოფილება - „*ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები*“, 22-ე განყოფილება - „*ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი*“ და 23-ე განყოფილება - „*ამონაგები*“ მოიცავს დანართებს. აღნიშნული დანართები წარმოადგენს არასავალდებულო მითითებებს.

მსს ფასს სტანდარტი გამოცემულია ორ ნაწილად: ნაწილი (ა) მოიცავს წინასიტყვაობას, ყველა სავალდებულო მასალას და 21-ე, 22-ე და 23-ე განყოფილებების დანართებს; ხოლო ნაწილი (ბ) მოიცავს ზემოთ აღნიშნული მასალის დარჩენილ ნაწილებს.

ამასთან, მსს-ს დანერგვის ჯგუფი (SMEIG), რომელიც ეხმარება საბჭოს *მსს ფასს* სტანდარტის დანერგვის საკითხებში, აქვეყნებს მითითებებს სტანდარტის გამოყენებასთან დაკავშირებით - „*კითხვები და პასუხები*“ (Q&As). ეს „*კითხვები და პასუხები*“ წარმოადგენს არასავალდებულო დროულ მითითებებს ბუღალტრული აღრიცხვის იმ კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მსს-ს დანერგვის ჯგუფთან საწარმოებმა, რომელთაც დანერგეს სტანდარტი და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა წამოჭრეს. ამ მოდულის გამოცემის დროს (2018 წლის ივლისი) მსს-ს დანერგვის ჯგუფს არ ჰქონდა გამოქვეყნებული აღნიშნული მოდულის შესაბამისი კითხვები და პასუხები.

შესავალი - სტანდარტის მოთხოვნები

მცირე და საშუალო საწარმოების საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მიზანია, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის შედეგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო ინფორმაცია მიაწოდოს მომხმარებელთა ფართო წრეს, რომელსაც არ გააჩნია უფლებამოსილება საწარმოს მოსთხოვოს თავის სპეციფიკურ საინფორმაციო საჭიროებებზე მორგებული ანგარიშგების მომზადება. ასეთი მომხმარებლები შესაძლოა იყვნენ, მაგალითად, საწარმოს მესაკუთრეები, რომლებიც მონაწილეობას არ იღებენ საწარმოს საქმიანობის მართვაში, არსებული და პოტენციური კრედიტორები და საკრედიტო რეიტინგის სააგენტოები.

მე-3 განყოფილება განსაზღვრავს ფინანსური ანგარიშგებების წარდგენის ზოგად მოთხოვნებს.

მე-6 განყოფილება ადგენს საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგების წარდგენის მოთხოვნებს. იგი განსაზღვრავს ამ ანგარიშგებებში წარსადგენ ინფორმაციას.

მოდული 6—საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

რა შეიცვალა მსს ფასს სტანდარტში 2009 წლის შემდეგ?

მე-6 განყოფილების ცვლილებები ეყრდნობა ფასს სტანდარტების სრული ვერსიის შესწორებებს, რომლებიც მოცემულია 2010 წლის მაისში გამოცემულ დოკუმენტში - „*ფასს სტანდარტების გაუმჯობესება*“. ეს ცვლილებები განმარტავს, თუ რა სახის ინფორმაცია უნდა იქნეს წარდგენილი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში—იხ. პუნქტები 6.2 და 6.3.

შეტანილია, თუმცა არ არის გამოყოფილი სხვა უმნიშვნელო სარედაქციო ხასიათის ცვლილებები.

მოთხოვნები და მაგალითები

მოქმედების სფერო

- 6.1 წინამდებარე განყოფილება ადგენს მოთხოვნებს პერიოდის განმავლობაში საკუთარ კაპიტალში მომხდარი ცვლილებების წარდგენისთვის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში, ან მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია გარკვეული პირობები და საწარმო ამ უკანასკნელ მიდგომას აირჩევს.

შენიშვნები

საკუთარი კაპიტალი არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ (იხ. საკუთარი კაპიტალის განმარტება ტერმინების ლექსიკონში). 22-ე განყოფილება - „*ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი*“ - განსაზღვრავს ფინანსური ინსტრუმენტების ვალდებულებებად, ან წილობრივ ინსტრუმენტებად კლასიფიცირების პრინციპებს. ფინანსური ინსტრუმენტის გამოშვება საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში აისახება როგორც მესაკუთრეების მიერ ინვესტირებული თანხა, თუ გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტი კლასიფიცირებულია, როგორც საკუთარი კაპიტალი.

მოდული 6—საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

მიზანი

- 6.2 საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში წარმოდგენილია საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი, საანგარიშგებო პერიოდის სხვა სრული შემოსავალი, სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებისა და შეცდომების გასწორების შედეგები, რაც აღიარებულია მოცემული პერიოდის განმავლობაში, ასევე პერიოდის განმავლობაში მესაკუთრეების მიერ მესაკუთრის რანგში განხორციელებული შენატანები, მათზე გაცემული დივიდენდები და სხვა სახის განაწილებები.

ინფორმაცია, რომელიც წარდგენილი უნდა იყოს საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში

- 6.3 საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:
- (ა) საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი, სათავო საწარმოს მესაკუთრეებსა და არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნებელი მთლიანი თანხების ცალკე გამოყოფით;
 - (ბ) საკუთარი კაპიტალის თითოეული კომპონენტისთვის, სააღრიცხვო პოლიტიკის რეტროსპექტულად გამოყენების ან თანხების რეტროსპექტულად გადაანგარიშების შედეგები, მე-10 განყოფილების - „სააღრიცხვო პოლიტიკა, შეფასებები და შეცდომები“ - შესაბამისად; და
 - (გ) საკუთარი კაპიტალის თითოეული კომპონენტისთვის, წლის დასაწყისსა და წლის ბოლოს არსებული საბალანსო ღირებულებების შეჯერება, სადაც ცალ-ცალკე იქნება ნაჩვენები ცვლილებები, რომლებიც გამოწვეულია:
 - (i) მოგების ან ზარალის ცვლილებით;
 - (ii) სხვა სრული შემოსავლის ცვლილებით; და
 - (iii) მესაკუთრეების მიერ მესაკუთრის რანგში ინვესტირებული თანხებით, ან მათზე გაცემული დივიდენდებისა და სხვა სახის განაწილებით, სადაც ცალ-ცალკე იქნება ნაჩვენები აქციების გამოშვება, საწარმოს საკუთარი აქციებით განხორციელებული ოპერაციები, მესაკუთრეებზე გაცემული დივიდენდები და სხვა სახის განაწილება, ასევე შვილობილ საწარმოებში საკუთრების წილების ცვლილებები, რომლებიც არ იწვევს კონტროლის დაკარგვას.

მოდული 6—საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

შენიშვნები

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აისახება საკუთარი კაპიტალის ყველა ცვლილება საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან დასასრულამდე, რომელიც მოიცავს აღნიშნულ პერიოდში წმინდა აქტივების ზრდას ან შემცირებას, მათ შორის, მესაკუთრებთან, როგორც მფლობელებთან განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებულს (ანუ საკუთარი კაპიტალის ცვლილება მესაკუთრების მიერ). აღნიშნული ანგარიშგება ერთმანეთთან აკავშირებს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებას.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება მომხმარებლებს აწვდის ინფორმაციას საკუთარი კაპიტალის თითოეული კომპონენტის შესახებ, მათ შორის:

- პერიოდის დასაწყისსა და ბოლოსთვის საბალანსო ღირებულებების შეჯერებას;
- სააღრიცხვო პოლიტიკის რეტროსპექტულად გამოყენების შედეგებსა; და
- წინა პერიოდის შეცდომების რეტროსპექტულად გადაანგარიშების შედეგებს.

კონსოლიდირებული ჯგუფის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება, თუ აღნიშნულ ჯგუფში შედის ერთი ან ერთზე მეტი ნაწილობრივ საკუთრებაში მყოფი შვილობილი საწარმო, ასევე წარადგენს ინფორმაციას მშობელი საწარმოს მესაკუთრებზე და არამაკონტროლებელ წილზე მიკუთვნებული საკუთარი კაპიტალის ნაწილისა და მასში მომხდარი ცვლილებების შესახებ.

მოდული 6—საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

მაგალითი—საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

მაგ. 1 მსს-ს შეუძლია წარადგინოს საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება შემდეგნაირად:

A მსს-ს კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 20X7 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ათას ფულად ერთეულში)

	მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მიკუთვნებული კაპიტალი						
	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	უცხოური სავალუტო რისკების ჰეჯირება პროგრამირებული ბულ ოპერაციებში	უცხოური ქვედანაყოფების უცხოური ქვედანაყოფის ბუღალტრული გადაყვანა	მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილი ბელი კაპიტალი	არამაკონტროლებელი წილი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 20X6 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით	500,000	236,000	(4,000)	22,000	754,000	83,778	837,778
წინა პერიოდის შეცდომის გასწორება	–	5,000	–	–	5,000	500	5,500
საადრიცხო პოლიტიკის ცვლილება	–	5,500	–	–	5,500	667	6,167
გადაანგარიშებული ნაშთი 20X6 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით	500,000	246,500	(4,000)	22,000	764,500	84,945	849,445
მოგება ან ზარალი	–	60,000	–	–	60,000	6,000	66,000
სხვა სრული შემოსავალი:							
უცხოური ქვედანაყოფების საქმიანობის გადაყვანა, გადასახადების გამოკლებით*	–	–	–	6,400	6,400	2,110	8,510
აქტუარული ზარალი— დადგენილ გადასახადელიანი პროგრამები, გადასახადების გამოკლებით [^]	–	(2,400)	–	–	(2,400)	(999)	(3,399)
ჰეჯირების ინსტრუმენტის რეალური ღირებულების ცვლილება, გადასახადებისა და რეკლასიფიკაციის გამოკლებით*	–	–	1,500	–	1,500	–	1,500
სხვა სრული შემოსავალი	–	(2,400)	1,500	6,400	5,500	1,111	6,611
მთლიანი სრული შემოსავალი	–	57,600	1,500	6,400	65,500	7,111	72,611
მესაკუთრეებთან განხორციელებული ოპერაციები:							
დივიდენდები	–	(8,000)	–	–	(8,000)	(889)	(8,889)
გადაანგარიშებული ნაშთი 20X6 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	500,000	296,100	(2,500)	28,400	822,000	91,167	913,167

გრძელდება შემდეგ გვერდზე

მოდული 6—საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მიკუთვნიებული

	კაპიტალი						
	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	უცხოური სავალუტო რისკების ჰეჯირება პროგრამებით	უცხოური ქვედანაყოფების უცხოური ქვედანაყოფების ბუღალტრული გადაყვანა	მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნიების ბუღალტრული სრული კაპიტალი	არამაკონტროლო ებელი წილი	სულ საკუთარი კაპიტალი
გადაანგარიშებული ნაშთი 20X6 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	500,000	296,100	(2,500)	28,400	822,000	91,167	913,167
მოგება ან ზარალი	-	98,300	-	-	98,300	10,000	108,300
სხვა სრული შემოსავალი:							
უცხოური ქვედანაყოფების საქმიანობის გადაყვანა, გადასახადების გამოკლებით*	-	-	-	3,200	3,200	1,333	4,533
აქტუარული ზარალი— დადგენილგადასახდელიანი პროგრამები, გადასახადების გამოკლებით* [^]	-	(400)	-	-	(400)	(100)	(500)
ჰეჯირების ინსტრუმენტის რეალური ღირებულების ცვლილება, გადასახადებისა და რეკლასიფიკაციის გამოკლებით*	-	-	300	-	300	-	300
სხვა სრული შემოსავალი	-	(400)	300	3,200	3,100	1,233	4,333
მთლიანი სრული შემოსავალი	-	97,900	300	3,200	101,400	11,233	112,633
მესაკუთრეებთან განხორციელებული ოპერაციები:							
სააქციო კაპიტალის გამოშვება	100,000	-	-	-	100,000	-	100,000
დივიდენდები	-	(12,000)	-	-	(12,000)	(1,333)	(13,333)
მესაკუთრეებს შორის განხორციელებული ოპერაციები:							
შვილობილ საწარმოში არამაკონტროლებელი წილიდან შეძენილი აქციები	-	(3,000)	-	-	(3,000)	(5,000)	(8,000)
ნაშთი 20X7 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	600,000	379,000	(2,200)	31,600	1,008,400	96,067	1,104,467

* „სხვა სრული შემოსავლის“ გამჟღავნების მოთხოვნა—იხ. 6.3 (გ)(ii) პუნქტი. შესაბამისად, არ არის საჭირო ამ სამი მუხლის წარდგენა საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში.

მოდული 6—საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

[^] ამ მაგალითში A მსს-ს აქტუარული მოგება და ზარალი ასახული აქვს გაუნაწილებელ მოგებაში. საწარმოს უფლება აქვს ასახოს სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული აქტუარული მოგება ან ზარალი გაუნაწილებელ მოგებაში ან საკუთარ კაპიტალში განცალკევებულ კომპონენტად.

მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

მიზანი

6.4 საწარმოს მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება გვიჩვენებს პერიოდის მოგებას ან ზარალს და გაუნაწილებელ მოგებაში მომხდარ ცვლილებებს. 3.18 პუნქტით ნებადართულია ერთი, მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგების წარდგენა, **სრული შემოსავლის ანგარიშგებისა** და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების ნაცვლად, თუ იმ პერიოდებში, რომლისთვისაც **ფინანსური ანგარიშგებაა** წარდგენილი, საკუთარი კაპიტალის ცვლილება განპირობებულია მხოლოდ მოგების ან ზარალის ცვლილებით, დივიდენდების გაცემით, წინა პერიოდების შეცდომების გასწორებითა და სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებით.

ინფორმაცია, რომელიც წარდგენილი უნდა იყოს მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში

6.5 იმ ინფორმაციის გარდა, რისი წარდგენაც მოითხოვება მე-5 განყოფილებით - „*სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება*“, საწარმომ მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში დამატებით უნდა წარადგინოს შემდეგი მუხლები:

- (ა) გაუნაწილებელი მოგება საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისთვის;
- (ბ) საანგარიშგებო პერიოდში გამოცხადებული და გაცემული, ან გადასახდელი დივიდენდები;
- (გ) წინა პერიოდების შეცდომების გასწორების გათვალისწინებით კორექტირებული გაუნაწილებელი მოგება;
- (დ) სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების გათვალისწინებით კორექტირებული გაუნაწილებელი მოგება; და
- (ე) გაუნაწილებელი მოგება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

მაგალითები—მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

მაგ. 2 20X8 და 20X7 წლებში (იმ პერიოდებში, რომლისთვისაც წარდგენილია ფინანსური ანგარიშგებები) B მსს-ს საკუთარი კაპიტალის ცვლილებები განპირობებულია მხოლოდ მოგების ან ზარალის მიღებით, დივიდენდების გაცემით და წინა პერიოდების შეცდომების გასწორებით.

B მსს წარადგენს საკუთარი ხარჯების ანალიზს ეკონომიკური შინაარსის მიხედვით.

B მსს აკმაყოფილებს 6.4 პუნქტის კრიტერიუმს და უფლება აქვს წარადგინოს მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება შემდეგნაირად:

მოდული 6—საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

B მსს-ს მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 20X8 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ათას ფულად ერთეულში)

		20X8	20X7
	შენიშვნები	გადაანგარიშებული	
ამონაგები	10	745,000	693,000
სხვა შემოსავალი	11	45,000	36,520
ცვლილებები მზა პროდუქციისა და დაუმთავრებელ წარმოების მარაგში			
გამოყენებული ნედლეული და მასალები	6	31,000	23,000
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი (20X7: წინა პერიოდში წარდგენილი—180,000 ფე)	6	(390,000)	(342,000)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	12	(220,000)	(197,000)
სხვა ხარჯები	5	(45,000)	(40,500)
ფინანსური დანახარჯები	12	(9,000)	(8,900)
ფინანსური დანახარჯები	13	(18,000)	(21,320)
მოგება დაბეგრამდე (20X7: წინა პერიოდში ასახული—159,000 ფე)		139,000	142,800
მოგების გადასახადის ხარჯი (20X7: წინა პერიოდში ასახული—39,950 ფე)	14	(42,000)	(35,700)
მოგება წლის განმავლობაში (20X7: წინა პერიოდში ასახული— 119,850 ფე)		97,000	107,100
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისისთვის:			
წინა პერიოდში ასახული	16		280,000
წინა პერიოდის შეცდომის გასწორება	16		(30,000)
		307,100	250,000
გამოცხადებული და გაცემული დივიდენდები	15	(60,000)	(50,000)
გაუნაწილებელი მოგება წლის დასასრულისთვის	16	344,100	307,100

მაგ. 3 C მსს, ნაწილობრივ საკუთრებაში მყოფი შვილობილი საწარმოს მქონე მშობელი საწარმო, აკმაყოფილებს 6.4 პუნქტის კრიტერიუმს და წარადგენს საკუთარი ხარჯების ანალიზს ეკონომიკური შინაარსის მიხედვით შეუძლია კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება წარადგინოს შემდეგნაირად:

მოდული 6—საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

C მსს-ს კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 20X8 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას ფულად ერთეულში)

		20X8	20X7
	შენიშვნები		
ამონაგები	10	745,000	693,000
სხვა შემოსავალი	11	45,000	36,520
ცვლილებები მზა პროდუქციისა და დაუმთავრებელი წარმოების მარაგში	6	31,000	23,000
გამოყენებული ნედლეული და მასალები	6	(390,000)	(342,000)
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი	12	(220,000)	(197,000)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	5	(45,000)	(40,500)
სხვა ხარჯები	12	(9,000)	(8,900)
ფინანსური დანახარჯები	13	(18,000)	(21,320)
მოგება დაბეგვრამდე		139,000	142,800
მოგების გადასახადის ხარჯი	14	(42,000)	(35,700)
მოგება წლის განმავლობაში		97,000	107,100
არამაკონტროლებელ წილზე მისაკუთვნიებული მოგება წლის განმავლობაში	16	(5,000)	(4,000)
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნიებული მოგება წლის განმავლობაში		92,000	103,100
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისისთვის	16	307,100	254,000
გამოცხადებული და გაცემული დივიდენდები	15	(60,000)	(50,000)
გაუნაწილებელი მოგება წლის დასასრულისთვის	16	339,100	307,100
არამაკონტროლებელი წილი წლის დასაწყისისთვის	16	15,000	12,000
არამაკონტროლებელ წილზე მისაკუთვნიებული მოგება წლის განმავლობაში	16	5,000	4,000
გამოცხადებული და გაცემული დივიდენდების წილი	16	(2,000)	(1,000)
არამაკონტროლებელი წილი წლის დასასრულისთვის	16	18,000	15,000

მოდული 6—საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

მნიშვნელოვანი შეფასებები და სხვა მსჯელობები

ოპერაციებისა და მოვლენების *მსს ფასს* სტანდარტის მოთხოვნების დაცვით აღრიცხვა ხშირად საჭიროებს მსჯელობას, მათ შორის შეფასებების გაკეთებას. ინფორმაცია საწარმოს ხელმძღვანელობის მნიშვნელოვანი მსჯელობებისა და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროების შესახებ სასარგებლოა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის შედეგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის შეფასების პროცესში. შესაბამისად, 8.6 პუნქტის თანახმად, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია იმ მსჯელობების შესახებ, შეფასებაში გამოყენებული ინფორმაციის გარდა, რომლებიც ხელმძღვანელობამ მიიღო სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში და ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე. გარდა ამისა, 8.7 პუნქტის შესაბამისად, საწარმომ განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია მომავალთან დაკავშირებით გამოყენებული ძირითადი დაშვებებისა და აგრეთვე საანგარიშგებო თარიღისათვის განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული სხვა ძირითადი წყაროების შესახებ, რომელთა გამოც არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების არსებითი კორექტირების რისკი მომდევნო ფინანსურ წელს.

მსს ფასს სტანდარტის სხვა განყოფილებები მოითხოვს ინფორმაციის გამჟღავნებას კონკრეტული მსჯელობებისა და განუსაზღვრელობების შეფასების შესახებ.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების წარდგენისას სირთულე იშვიათად წარმოიშობა. თუმცა, ზოგჯერ საჭიროა მნიშვნელოვანი მსჯელობა *მსს ფასს*-ის იმ სხვა განყოფილებების გამოყენებისას, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაზე. მაგალითად, საჭიროა მნიშვნელოვანი მსჯელობა, რათა განისაზღვროს საწარმოს მიერ გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიცირება ვალდებულებებად უნდა მოხდეს თუ საკუთარ კაპიტალად (იხ. 22-ე განყოფილება - „ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი“). ინსტრუმენტის გამოშვება პირდაპირ აისახება საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოშვებული ინსტრუმენტის კლასიფიცირება მოხდება საკუთარ კაპიტალად.

მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

მსს ფასს-ის შესაბამისად მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგების წარდგენისას სირთულე იშვიათად წარმოიშობა. თუმცა, ზოგჯერ საჭიროა მნიშვნელოვანი მსჯელობა. მაგალითად, მსჯელობა საჭიროა:

- იმისათვის, რომ შეფასდეს, რომელი დამატებითი სტრიქონის მუხლები, ქვესათაურები და ქვეჯგუფების ჯამური მნიშვნელობები არის აუცილებელი საწარმოს ფინანსური შედეგების გასაგებად;
- რათა განისაზღვროს შეწყვეტილი ოპერაციები და გამოიყოს მათი დაბეგვრის შემდგომი მოგება ან ზარალი განგრძობით ოპერაციების შემოსავლებისა და ხარჯებისგან.
- რათა შეფასდეს, ხარჯების კლასიფიკაციის რომელი მეთოდი (ფუნქციების თუ ეკონომიკური შინაარსის მიხედვით) უზრუნველყოფს საიმედო და უფრო რელევანტურ ინფორმაციას;
- ზოგიერთი ხარჯის ფუნქციების მიხედვით კლასიფიკაციისთვის, მაგალითად, ხარჯების განაწილება, რომლებიც საწარმოს ერთზე მეტ ფუნქციას უკავშირდება; და
- ზოგიერთი ხარჯის ეკონომიკური შინაარსის მიხედვით კლასიფიცირებისთვის, მაგალითად, ზოგიერთი ხარჯის კომპონენტების განსაცალკევებლად, რომლებიც მოიცავს განსხვავებული ეკონომიკური შინაარსის მუხლებს.

მოდული 6—საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

შედარება ფასს სტანდარტების სრულ ვერსიასთან

2017 წლის 1-ლი იანვრის შემდგომ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების წარდგენისას ძირითადი განსხვავება ფასს სტანდარტების სრულ ვერსიასა (იხ. ბასს 1 „*ფინანსური ანგარიშგების წარდგენა*“) და *მსს ფასს სტანდარტს შორის* (იხ. მე-6 განყოფილება - „*საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება*“) არის:

- *მსს ფასს* სტანდარტი მოიცავს ნაკლებ მითითებას;
- *მსს ფასს* სტანდარტის მიხედვით, კომპანიას შეუძლია წარადგინოს მხოლოდ მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება ნაცვლად სრული შემოსავლის ანგარიშგებისა და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა, იმ შემთხვევაში, თუ იმ პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებები, რომელსაც ფინანსური ანგარიშგება მოიცავს, განპირობებულია მხოლოდ მოგების ან ზარალის მიღებით, დივიდენდების გაცემით, წინა პერიოდების შეცდომების გასწორებითა და სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებით. აღნიშნული არჩევანი არ არსებობს ფასს სტანდარტების სრულ ვერსიაში.
- მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებასთან დაკავშირებით, მე-5 მოდულში „შედარება ფასს სტანდარტების სრულ ვერსიასთან“ მოცემული განმარტების შესაბამისად:
 - თუ საწარმო, რომელიც იყენებს ფასს სტანდარტების სრულ ვერსიას, ხარჯების კლასიფიცირებას ახდენს ფუნქციების მიხედვით, ის ასევე ვალდებულია გაამჟღავნოს ინფორმაცია ხარჯების ეკონომიკური შინაარსის შესახებ. *მსს ფასს* სტანდარტი მკაფიოდ არ მოითხოვს ხარჯების ეკონომიკური შინაარსის შესახებ დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.
 - ფასს სტანდარტის სრული ვერსია შეწყვეტილი ოპერაციებისთვის განსაზღვრავს უფრო დეტალურ განმარტებით შენიშვნებს და მოიცავს მითითებებს „გასაყიდად გამიზნულის“ მნიშვნელობის შესახებ.
 - *მსს ფასს* სტანდარტთან შედარებით ფასს სტანდარტების სრული ვერსია მოიცავს უფრო დეტალურ მითითებებს ქვეჯგუფების ჯამური მნიშვნელობების წარდგენასთან დაკავშირებით.

მოდული 6—საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

უპასუხეთ მოცემულ კითხვებს და შეამოწმეთ თქვენი ცოდნა *მსს ფასს* სტანდარტის გამოყენებით საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგების წარდგენის მოთხოვნებთან დაკავშირებით.

ჩათვალეთ, რომ ქვემოთ მოცემული ყველა თანხა არსებითია.

ტესტის დასრულების შემდეგ, თქვენი პასუხები შეამოწმეთ ქვემოთ მოცემული პასუხების მიხედვით.

მონიშნეთ უჯრა ყველაზე სწორი პასუხის გვერდით.

კითხვა 1

ჩამოთვლილთაგან რომლის წარდგენა არ არის საჭირო საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში:

- (ა) საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი, მშობელი საწარმოს მესაკუთრეებსა და არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნილებელი თანხების ცალკე გამოყოფით.
- (ბ) საკუთარი კაპიტალის თითოეული კომპონენტისთვის, ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის რეტროსპექტულად გამოყენების ან შეცდომების გასასწორებლად თანხების რეტროსპექტულად გადაანგარიშების შედეგები.
- (გ) სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტის დაჯგუფება მუხლებად, რომლებიც შემდგომში არ შეიძლება, რომ რეკლასიფიცირებული იყოს მოგებაში, ან ზარალში და მუხლებად, რომლებიც შემდგომში შეიძლება, რომ რეკლასიფიცირებული იყოს მოგებაში ან ზარალში, როდესაც დაკმაყოფილდება გარკვეული პირობები.
- (დ) საკუთარი კაპიტალის თითოეული კომპონენტისთვის, წლის დასაწყისსა და წლის ბოლოს არსებული საბალანსო ღირებულებების შეჯერება, სადაც ცალ-ცალკე იქნება ნაჩვენები ცვლილებები, რომლებიც გამოწვეულია:
 - (i) მოგების ან ზარალის ცვლილებით;
 - (ii) სხვა სრული შემოსავლის ცვლილებით; და
 - (iii) მესაკუთრეების მიერ მესაკუთრის რანგში ინვესტირებული თანხებით, ან მათზე გაცემული დივიდენდებისა და სხვა სახის განაწილებით, სადაც ცალ-ცალკე იქნება ნაჩვენები აქციების გამოშვება, საწარმოს საკუთარი აქციებით განხორციელებული ოპერაციები, მესაკუთრეებზე გაცემული დივიდენდები და სხვა სახის განაწილება, ასევე შვილობილ საწარმოებში საკუთრების წილების ცვლილებები, რომლებიც არ იწვევს კონტროლის დაკარგვას.

მოდული 6—საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

კითხვა 2

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში სააღრიცხვო პოლიტიკის რეტროსპექტულად გამოყენების შედეგები ასახულია:

- (ა) ცალ-ცალკე საკუთარი კაპიტალის თითოეული კომპონენტისთვის.
- (ბ) აგრეგირებულად მხოლოდ მთლიანი საკუთარი კაპიტალისთვის.
- (გ) აგრეგირებულად მთლიანი საკუთარი კაპიტალისთვის და ცალ-ცალკე მშობელი საწარმოს მესაკუთრეებსა და არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნიებული მთლიანი თანხებისთვის.

კითხვა 3

ჩამოთვლილთაგან რომელი არის წარმოდგენილი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში?

- (ა) მესაკუთრეების მიერ ინვესტირებული თანხა (მაგალითად, აქციების გამოშვება).
- (ბ) მესაკუთრეებზე გაცემული განაწილებები (მაგალითად, დივიდენდები).
- (გ) შვილობილ საწარმოებში საკუთრების წილების ცვლილებები, რომლებიც არ იწვევს კონტროლის დაკარგვას.
- (დ) ჩამოთვლილთაგან ყველა.
- (ე) ჩამოთვლილთაგან არცერთი.

კითხვა 4

საწარმომ:

- (ა) ირჩევს მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგების ან სრული შემოსავლის ანგარიშგებისა და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების წარდგენას (ანუ ყველა საწარმოს, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს *მსს ფასტანდარტის* შესაბამისად, აქვს სააღრიცხვო პოლიტიკის თავისუფალი არჩევანი).
- (ბ) ვალდებულია წარადგინოს მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება ნაცვლად სრული შემოსავლის ანგარიშგებისა და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა, თუ იმ პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებები, რომელსაც ფინანსური ანგარიშგება მოიცავს, განპირობებულია მხოლოდ მოგების ან ზარალის მიღებით, დივიდენდების გაცემით, წინა პერიოდების შეცდომების გასწორებითა და სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებით.
- (გ) უფლებამოსილია, მაგრამ არ არის ვალდებული, წარადგინოს მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება ნაცვლად სრული შემოსავლის ანგარიშგებისა და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა, თუ იმ პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებები, რომელსაც ფინანსური ანგარიშგება მოიცავს, განპირობებულია მხოლოდ მოგების ან ზარალის მიღებით, დივიდენდების გაცემით, წინა პერიოდების შეცდომების გასწორებითა და სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებით.

მოდული 6—საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

- (დ) რომელიც აირჩევს მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგების წარდგენას, ასევე უნდა წარადგინოს სრული შემოსავლის ანგარიშგება და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.

კითხვა 5

მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება წარმოადგენს:

- (ა) საწარმოს მოგებას ან ზარალს და გაუნაწილებელ მოგებას საანგარიშო პერიოდის დასაწყისისა და დასასრულისთვის.
- (ბ) საწარმოს მოგებას ან ზარალს და გამოცხადებულ და გაცემულ, ან გადასახდელ დივიდენდებს მოცემული პერიოდისთვის.
- (გ) საწარმოს მოგებას ან ზარალს, გაუნაწილებელ მოგებას საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის, გამოცხადებულ და გაცემულ, ან გადასახდელ დივიდენდებს მოცემული პერიოდისთვის და გაუნაწილებელ მოგებას საანგარიშო პერიოდის დასასრულისთვის.
- (დ) მე-5 განყოფილებით - „სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება“ - განსაზღვრულ მუხლებს, გაუნაწილებელ მოგებას საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის, გამოცხადებულ და გაცემულ, ან გადასახდელ დივიდენდებს მოცემული პერიოდისთვის, წინა პერიოდების შეცდომების გასწორებისა და საადრიცხო პოლიტიკის ცვლილების გათვალისწინებით კორექტირებულ გაუნაწილებელ მოგებას და გაუნაწილებელ მოგებას საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის.

კითხვა 6

მიმდინარე საანგარიშო პერიოდისთვის ქვემოთ ჩამოთვლილი რომელი ოპერაციის არსებობა გამორიცხავს საწარმოს შესაძლებლობას აირჩიოს მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგების წარდგენა?

- (ა) საწარმო ერთდერთ აქციონერზე დივიდენდის სახით ანაწილებს მიწას და შენობა-ნაგებობებს (რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც საინვესტიციო ქონება).
- (ბ) საწარმო ერთდერთ აქციონერზე დივიდენდის სახით ანაწილებს მიწას და შენობა-ნაგებობებს (რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც ძირითადი საშუალებები).
- (გ) საწარმო ერთდერთ აქციონერზე დივიდენდის სახით ანაწილებს მიწას და შენობა-ნაგებობებს (რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მარაგი).
- (დ) საწარმომ თავისი ორი აქციონერისგან შეიძინა 100 საკუთარი აქცია.

კითხვა 7

მიმდინარე საანგარიშო პერიოდისთვის ქვემოთ ჩამოთვლილი რომელი მოვლენის არსებობა გამორიცხავს საწარმოს შესაძლებლობას აირჩიოს მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგების წარდგენა?

- (ა) წინა საანგარიშგებო პერიოდის არსებითი შეცდომის აღმოჩენა, რომლის შესწორებაც ხდება თანხების რეტროსპექტულად გადაანგარიშების მეშვეობით.

მოდული 6—საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

- (ბ) სააღრიცხვო პოლიტიკის ნებაყოფლობითი ცვლილება, როდესაც ახალი სააღრიცხვო პოლიტიკა რეტროსპექტულად გამოიყენება.
- (გ) ხარჯების ფუნქციების მიხედვით ანალიზის მეთოდით წარდგენიდან ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ანალიზის მეთოდით წარდგენაზე გადასვლა.
- (დ) ჩამოთვლილთაგან არცერთი.

კითხვა 8

საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი აისახება საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში:

- (ა) მშობელი საწარმოს მესაკუთრებსა და არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნებელი მთლიანი თანხის ცალკე გამოყოფით.
- (ბ) ხარჯების ანალიზის ფუნქციების ან ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ცალკე გამოყოფით.
- (გ) მე-5 განყოფილებით - „სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება“ - განსაზღვრული მუხლების ცალკე გამოყოფით.
- (დ) მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტის ცალკე გამოყოფით.

კითხვა 9

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში წინა პერიოდის შეცდომების გასწორების შედეგები უნდა აისახოს:

- (ა) ცალ-ცალკე საკუთარი კაპიტალის თითოეული კომპონენტისთვის.
- (ბ) აგრეგირებულად მთლიანი საკუთარი კაპიტალისთვის.
- (გ) აგრეგირებულად მთლიანი საკუთარი კაპიტალისთვის და ცალ-ცალკე მშობელი საწარმოს მესაკუთრებსა და არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნებელი მთლიანი თანხებისთვის.

კითხვა 10

ანგარიშვალდებული საწარმო (მშობელი საწარმო) ფლობს შვილობილი საწარმოს 75%-ს შვილობილი საწარმოს დაფუძნების შემდეგ. დამოუკიდებელი მესამე მხარე ფლობს დარჩენილ 25%-ს. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში, როდესაც შვილობილი საწარმოს საკუთარი კაპიტალი 100,000 ფე-ს შეადგენდა (სააქციო კაპიტალი 1,000 ფე, ხოლო გაუნაწილებელი მოგება 99,000 ფე), მშობელმა საწარმომ რეალური ღირებულებით 60,000 ფე-ად შეიძინა შვილობილი საწარმოს აქციების დარჩენილი 25%.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში როგორ უნდა ასახოს ჯგუფმა მშობელი საწარმოს მიერ შვილობილი საწარმოს საკუთარი კაპიტალის 25%-ის არამაკონტროლებელი წილის მფლობელისგან შეძენა?

- (ა) საწარმომ ცალკე უნდა გამოყოს მუხლი, რომელშიც 25,000 ფე ასახული იქნება, როგორც არამაკონტროლებელი წილის შემცირება.
- (ბ) საწარმომ ცალკე უნდა გამოყოს მუხლი, რომელშიც 60,000 ფე ასახული იქნება, როგორც არამაკონტროლებელი წილის შემცირება.

მოდული 6—საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

- (გ) საწარმომ ცალკე უნდა გამოყოს მუხლი, რომელშიც 25,000 ფე ასახული იქნება, როგორც არამაკონტროლებელი წილის შემცირება, ხოლო 35,000 ფე ასახული იქნება, როგორც გაუნაწილებელი მოგების შემცირება.

შენიშვნა: მე-10 კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა *მს ფას სტანდარტის* მე-9 განყოფილების - „კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება“ და მე-19 განყოფილების - „საწარმოთა გაერთიანება და გუდვილი“ მოთხოვნების ცოდნა. მე-9 და მე-19 განყოფილებების მოთხოვნები მოცემულია მე-9 და მე-19 მოდულებში.

კითხვა 11

ფაქტები იგივეა, რაც მე-10 კითხვის შემთხვევაში. თუმცა ამ კითხვაში, მიმდინარე საანგარიშო პერიოდში მშობელმა საწარმომ რეალური ღირებულებით 60,000 ფე-ად გაყიდა შვილობილი საწარმოს აქციების 25%. მშობელ საწარმოს კონტროლი შვილობილ საწარმოზე არ დაუკარგავს.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში როგორ უნდა ასახოს ჯგუფმა მშობელი საწარმოს მიერ შვილობილი საწარმოს საკუთარი კაპიტალის 25%-ის არამაკონტროლებელი წილის მფლობელზე გაყიდვა?

- (ა) საწარმომ ცალკე უნდა გამოყოს მუხლი, რომელშიც 25,000 ფე ასახული იქნება, როგორც არამაკონტროლებელი წილის ზრდა.
- (ბ) საწარმომ ცალკე უნდა გამოყოს მუხლი, რომელშიც 60,000 ფე ასახული იქნება, როგორც არამაკონტროლებელი წილის ზრდა.
- (გ) საწარმომ ცალკე უნდა გამოყოს მუხლი, რომელშიც 25,000 ფე ასახული იქნება, როგორც არამაკონტროლებელი წილის ზრდა, ხოლო 35,000 ფე ასახული იქნება, როგორც გაუნაწილებელი მოგების ზრდა.

შენიშვნა: მე-10 კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა *მს ფას სტანდარტის* მე-9 განყოფილების - „კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება“ და მე-19 განყოფილების - „საწარმოთა გაერთიანება და გუდვილი“ მოთხოვნების ცოდნა. მე-9 და მე-19 განყოფილებების მოთხოვნები მოცემულია მე-9 და მე-19 მოდულებში.

მოდული 6—საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

პასუხები

კითხვა 1	(გ) იხ. 6.3 პუნქტი (და 5.5(ზ)).
კითხვა 2	(ა) იხ. 6.3 პუნქტი (ბ).
კითხვა 3	(დ) იხ. 6.3 პუნქტი (გ)(iii).
კითხვა 4	(გ) იხ. 6.4 და 3.18 პუნქტები.
კითხვა 5	(დ) იხ. 6.5 პუნქტი.
კითხვა 6	(დ) იხ. 6.4 პუნქტი.
კითხვა 7	(დ) იხ. 6.4 პუნქტი.
კითხვა 8	(ა) იხ. 6.3 (ა) პუნქტი.
კითხვა 9	(ა) იხ. 6.3 (ბ) პუნქტი.
კითხვა 10	(გ) იხ. 6.3 (გ)(iii) პუნქტი.
კითხვა 11	(გ) იხ. 6.3 (გ)(iii) პუნქტი.

მოდული 6—საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

გამოიყენეთ ცოდნა

გამოიყენეთ *მსს ფასს* სტანდარტის მიხედვით საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგების წარდგენის მოთხოვნების ცოდნა ქვემოთ მოცემული ცალკეული სიტუაციური მაგალითების ამოსახსნელად.

სიტუაციური მაგალითების ამოხსნის დასრულების შემდგომ, შეამოწმეთ თქვენი პასუხები ქვემოთ მოცემული პასუხების მიხედვით.

სიტუაციური მაგალითი 1

20X4 წელს, D მსს-ს 20X3 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების შემდეგ, ხელმძღვანელობამ აღმოაჩინა შეცდომა წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებში. შეცდომის შედეგი არის 20X3 წლის 1-ლი იანვრისთვის გაუნაწილებელი მოგების 230,000 ფე-ს ოდენობით გაზრდა. შეცდომა დაკავშირებულია D მსს-ს გაყიდვების თანამშრომლების მიერ გამოყენებული ავტომობილების ცვეთის გამოთვლასთან.

D მსს-ს საკუთარი კაპიტალი წინა პერიოდის შეცდომის გასწორებამდე შეჯამებულია ქვემოთ:

	20X3	20X4
	<i>ფე</i>	<i>ფე</i>
მთლიანი საკუთარი კაპიტალი წლის დასაწყისში:		
- სააქციო კაპიტალი	2,500,000	2,500,000
- საემისიო კაპიტალი	1,900,000	1,900,000
- გადაფასების ნამეტი	730,000	897,000
- გაუნაწილებელი მოგება	2,150,000	2,455,100
მოგება წლის განმავლობაში	532,000	698,300
აქტუარული მოგება/(ზარალი)		
დადგენილგადასახდელიანი საპენსიო პროგრამის ვალდებულებაზე, გადასახადების გამოკლებით	(6,900)	(2,000)
გადაფასების ნამეტის ზრდა/(კლება) გადასახადების გამოკლებით	167,000	(46,200)
აქციების გამოშვება	–	6,000,000
გამოცხადებული და გაცემული დივიდენდები	(220,000)	(320,000)
მთლიანი საკუთარი კაპიტალი წლის ბოლოს	<u>7,752,100</u>	<u>14,082,200</u>

20X4 წელს D მსს-მ გამოუშვა 1,000,000 ჩვეულებრივი აქცია 6 ფე-ის ღირებულებით, თითოეული ნომინალური ღირებულება შეადგენდა 1 ფე-ს.

გადაფასების ზრდა და კლება წარმოშობილია ძირითად საშუალებებად აღრიცხულ მიწასა და შენობა-ნაგებობებზე.

მოამზადეთ D მსს-ს საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 20X4 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად.

მოდული 6—საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

სიტუაციური მაგალითი 1 - პასუხი

D მსს-ს საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 20X4 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ფულად ერთეულებში)

	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	გადაფასების ნამეტი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 20X3 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით	2,500,000	1,900,000	730,000	2,150,000	7,280,000
საადრიცხვო პოლიტიკის ცვლილება	–	–	–	(230,000)	(230,000)
გადაანგარიშებული ნაშთი 20X3 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით	2,500,000	1,900,000	730,000	1,920,000	7,050,000
საკუთარი კაპიტალის ცვლილებები 20X3 წლისთვის:					
მოგება წლის განმავლობაში	–	–	–	532,000	532,000
სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში:					
აქტუარული ზარალი დადგენილგადასახდელიან პროგრამებზე წლის განმავლობაში, გადასახადების გამოკლებით * [^]	–	–	–	(6,900)	(6,900)
ძირითად საშუალებებზე გადაფასების ნამეტის ზრდა, გადასახადების გამოკლებით *	–	–	167,000	–	167,000
სხვა სრული შემოსავალი	–	–	167,000	(6,900)	160,100
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	–	–	167,000	525,100	692,100
დივიდენდები	–	–	–	(220,000)	(220,000)
ნაშთი 20X3 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,500,000	1,900,000	897,000	2,225,100^(ა)	7,522,100^(ბ)
საკუთარი კაპიტალის ცვლილებები 20X4 წლისთვის:					
მოგება წლის განმავლობაში	–	–	–	698,300	698,300
სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში:					
აქტუარული ზარალი დადგენილგადასახდელიან პროგრამებზე წლის განმავლობაში, გადასახადების გამოკლებით * [^]	–	–	–	(2,000)	(2,000)
ძირითად საშუალებებზე გადაფასების ნამეტის შემცირება, გადასახადების გამოკლებით *	–	–	(46,200)	–	(46,200)
სხვა სრული შემოსავალი	–	–	(46,200)	(2,000)	(46,200)
მთლიანი სრული შემოსავალი	–	–	(46,200)	696,300	650,100
აქციების გამოშვება	1,000,000	5,000,000	–	–	6,000,000
დივიდენდები	–	–	–	(320,000)	(320,000)
ნაშთი 20X4 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,500,000	6,900,000	850,800	2,601,400	13,852,200^(ბ)

მოდული 6—საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

* მოთხოვნა გულისხმობს „სხვა სრული შემოსავლის“ გამჟღავნებას - იხ. 6.3 (გ)(ii) პუნქტი. შესაბამისად, არ არის საჭირო ამ ორი მუხლის წარდგენა საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში.

^ ამ მაგალითში D მსს-ს აქტუარული მოგება და ზარალი ასახული აქვს გაუნაწილებელ მოგებაში. საწარმოს უფლება აქვს ასახოს სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული აქტუარული მოგება ან ზარალი გაუნაწილებელ მოგებაში ან საკუთარ კაპიტალში განცალკევებულ კომპონენტად.

ქვემოთ მოცემული გამოთვლები არ შეადგენს D მსს-ს მიერ წარდგენილი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების ნაწილს:

- (ა) 20X3 წლის 31 დეკემბრისთვის 2,225,100 ფე გაუნაწილებელი მოგება მოიცავს წინა პერიოდის შეცდომით, 230,000 ფე-ს ოდენობით შემცირებულ თავდაპირველად წარდგენილ 2,455,100 ფე-ს.
- (ბ) 20X3 წლის 31 დეკემბრისთვის 7,522,100 ფე მთლიანი საკუთარი კაპიტალი მოიცავს წინა პერიოდის შეცდომით, 230,000 ფე-ის ოდენობით შემცირებულ თავდაპირველად წარდგენილ 7,752,100 ფე-ს.
- (გ) 20X4 წლის 31 დეკემბრისთვის 13,852,200 ფე მთლიანი საკუთარი კაპიტალი მოიცავს წინა პერიოდის შეცდომით, 230,000 ფე-ის ოდენობით შემცირებულ 14,082,200 ფე-ს, რომელიც განსაზღვრულია კითხვაში (შეცდომის კორექტირებამდე).

მოდული 6—საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

სიტუაციური მაგალითი 2

მას შემდეგ რაც შეიქმნა F მსს, იგი E მსს-ს 75%-იან საკუთრებაში მყოფი შვილობილი საწარმოა.

20X4 წლის 31 დეკემბერს, F მსს-ს მიერ 20X4 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დივიდენდების გამოცხადებისა და გაცემის შემდეგ, E მსს-მ 60%-მდე შეამცირა F მსს-ში საკუთარი წილობრივი მონაწილეობა F მსს-ს საკუთარი კაპიტალის 15%-ის არამაკონტროლებელი წილის მფლობელზე 35,000 ფე-ად გაყიდვით.

20X4 წელს, E მსს-ს 20X3 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების შემდეგ, F მსს-ს ხელმძღვანელობამ აღმოაჩინა შეცდომა წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში. შეცდომას წარმოადგენდა F მსს-ს გაყიდვების შენობა-ნაგებობის ცვეთის ხარჯის 50,000 ფე-ით შემცირება 20X2 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის და შესაბამისად, F მსს-ს საგადასახადო ხარჯის 10,000 ფე-ით გაზრდა 20X2 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

E მსს-ს (დამოუკიდებელი იურიდიული პირი) და F მსს-ს (დამოუკიდებელი იურიდიული პირი) საკუთარი კაპიტალი წინა პერიოდის შეცდომის გასწორებამდე (იხ. ზემოთ) და E მსს-ს მიერ F მსს-ს აქციების გაყიდვის ასახვამდე (იხ. ზემოთ) შეჯამებულია ქვემოთ:

	20X3		20X4	
	E მსს	F მსს	E მსს	F მსს
	ფე	ფე	ფე	ფე
მთლიანი საკუთარი კაპიტალი წლის დასაწყისში:				
- სააქციო კაპიტალი	2,500,000	10,000	2,500,000	10,000
- საემისიო კაპიტალი	1,900,000	–	1,900,000	–
- გაუნაწილებელი მოგება	2,070,000	80,000	2,348,100	82,000
- უცხოური ქვედანაყოფების საქმიანობის გადაყვანა*	–	–	67,000	–
მოგება წლის განმავლობაში	500,000	32,000	658,300	40,000
აქტუარული მოგება/(ზარალი)				
დადგენილგადასახდელიანი საპენსიო პროგრამის ვალდებულებაზე, გადასახადების გამოკლებით	(1,900)	(5,000)	(3,000)	1,000
საკურსო სხვაობების სახით არსებული შემოსულობა/(ზარალი) უცხოური ქვედანაყოფების საქმიანობის გადაყვანის შედეგად, გადასახადების გამოკლებით	67,000	–	(46,200)	–
აქციების გამოშვება	–	–	6,000,000	–
გამოცხადებული და გაცემული დივიდენდები	(220,000)	(25,000)	(320,000)	(31,000)
მთლიანი საკუთარი კაპიტალი წლის ბოლოს	6,815,100	92,000	13,104,200	102,000

* 20X3 წლის დასაწყისში E მსს-მ გახსნა ფილიალი უცხოეთის იურისდიქციაში. E მსს-ს ფინანსურ ანგარიშგებებში საკურსო სხვაობების სახით არსებული შემოსულობა და ზარალი უცხოური ქვედანაყოფების საქმიანობის გადაყვანის შედეგად ამ ფილიალს უკავშირდება.

მოდული 6—საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

20X4 წელს E მსს-მ გამოუშვა 1,000,000 ჩვეულებრივი აქცია ყოველი 1 ფე-ის ნომინალური ღირებულებისთვის.

მომზადეთ E მსს-ს საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება 20X4 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად.

მოდული 6—საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

სიტუაციური მაგალითი 2 - პასუხი

E მსს-ს საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება 20X4 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ფულად ერთეულებში)

	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	უცხოური ქვედანაყოფების საქმიანობის გადაყვანა	მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთრებული კაპიტალი	არამაკონტროლებელი	სულ საკუთარი კაპიტალი		
ნაშთი 20X3 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით	2,500,000	1,900,000	2,130,000	(ა)	—	6,530,000	22,500	(ბ)	6,552,500
წინა პერიოდის შეცდომის გასწორება	—	—	(30,000)	(გ)	—	(30,000)	(10,000)	(დ)	(40,000)
გადაანგარიშებული ნაშთი 20X3 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით	2,500,000	1,900,000	2,100,000		—	6,500,000	12,500		6,512,500
საკუთარი კაპიტალის ცვლილებები 20X3 წლისთვის:									
მოგება წლის განმავლობაში	—	—	505,250	(ე)	—	505,250	8,000	(ვ)	513,250
სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში:									
აქტუარული ზარალი დადგენილგადასახდელიან პროგრამებზე წლის განმავლობაში, გადასახადების გამოკლებით* ^ა	—	—	(5,650)	(ზ)	—	(5,650)	(1,250)	(თ)	(6,900)
შემოსულობა უცხოური ქვედანაყოფების საქმიანობის გადაყვანის შედეგად, გადასახადების გამოკლებით*	—	—	—		67,000	67,000	—		67,000
	—	—	(5,650)		67,000	61,350	(1,250)		60,100
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	—	—	499,600		67,000	566,600	6,750		573,350
დივიდენდები	—	—	(220,000)	(ი)	—	(220,000)	(6,250)	(კ)	(226,250)
ნაშთი 20X3 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,500,000	1,900,000	2,379,600		67,000	6,846,600	13,000		6,859,600

გრძელდება შემდეგ გვერდზე

მოდული 6—საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	უცხოური ქვედანაყოფების საქმიანობის გადაყვანა	მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთრებული კაპიტალი	არამაკონტროლებელი	სულ საკუთარი კაპიტალი
საკუთარი კაპიტალის ცვლილებები 20X4 წლისთვის:							
მოგება წლის განმავლობაში	-	-	665,050 ^(ა)	-	665,050	10,000 ^(ბ)	675,050
სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში:							
აქტუარული მოგება და (ზარალი)							
დადგენილგადასახდელიან გეგმებზე წლის განმავლობაში, გადასახადების გამოკლებით* ^ა	-	-	(2,250) ^(ბ)	-	(2,250)	250 ^(ა)	(2,000)
ზარალი უცხოური ქვედანაყოფების საქმიანობის გადაყვანის შედეგად, გადასახადების გამოკლებით*	-	-	-	(46,200)	(46,200)	-	(46,200)
	-	-	(2,250)	(46,200)	(48,450)	250	(48,200)
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	-	662,800	(46,200)	616,600	10,250	626,850
აქციების გამოშვება	1,000,000	5,000,000	-	-	6,000,000	-	6,000,000
დივიდენდები	-	-	(320,000) ^(ა)	-	(320,000)	(7,750) ^(ბ)	(327,750)
შვილობილი კომპანიის აქციების გაყიდვა	-	-	25,700 ^(ა)	-	25,700	9,300 ^(ბ)	35,000
ნაშთი 20X4 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,500,000	6,900,000	2,748,100		13,168,900	24,800	13,193,700

* მოთხოვნა გულისხმობს „სხვა სრული შემოსავლის“ გამჟღავნებას - იხ. 6.3 (გ)(ii) პუნქტი. შესაბამისად, არ არის საჭირო ამ ორი მუხლის წარდგენა 20X3 წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში.

^ა ამ მაგალითში E მსს-ს აქტუარული მოგება და ზარალი ასახული აქვს გაუნაწილებელ მოგებაში. საწარმოს უფლება აქვს ასახოს სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული აქტუარული მოგება ან ზარალი გაუნაწილებელ მოგებაში ან საკუთარი კაპიტალის განცალკევებულ კომპონენტად.

მოდული 6—საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

ქვემოთ მოცემული გამოთვლები არ შეადგენს E მსს-ს მიერ წარდგენილი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგების ნაწილს:

- (ა) სააქციო კაპიტალი: 2,500,000 ფე (E მსს) + 10,000 ფე (F მსს) გამოკლებული 7,500 ფე E მსს-ს ინვესტიცია F მსს-ში გამოკლებული 2,500 ფე (10,000 ფე × 25%) ასახული არამაკონტროლებელი წილის სახით
- (კონსოლიდირებისას ხდება F მსს-ს სააქციო კაპიტალის ელიმინირება E მსს-ს ინვესტიციით F მსს-ში და არამაკონტროლებელი წილის საწყისი ინვესტიციით F მსს-ში (რაც აღიარებულია, როგორც საკუთარი კაპიტალი).)
- საემისიო კაპიტალი: 1,900,000 ფე (E მსს)
- გაუნაწილებელი მოგება: 2,070,000 ფე (E მსს) + 80,000 ფე (F მსს) გამოკლებული 20,000 ფე (80,000 ფე × 25%) ასახული არამაკონტროლებელი წილის სახით = 2,130,000 ფე.
- (ბ) 10,000 ფე (F მსს) + 80,000 ფე (F მსს) = 90,000 ფე F მსს-ს საკუთარი კაპიტალი. 90,000 ფე × 25% = 22,500 ფე.
- (გ) 50,000 ფე-ს გამოკლებული 10,000 ფე გადასახადი = 40,000 ფე შედეგები გაუნაწილებელ მოგებაზე. 40,000 ფე × 75% = 30,000 ფე.
- (დ) 50,000 ფე გამოკლებული 10,000 ფე გადასახადი = 40,000 ფე შედეგები გაუნაწილებელ მოგებაზე. 40,000 ფე × 25% = 10,000 ფე.
- (ე) 500,000 ფე (E მსს) გამოკლებული 18,750 ფე (75% × 25,000 ფე) დივიდენდის შემოსავალი (შიდაჯგუფური ოპერაციის შედეგად F მსს-სგან მიღებული დივიდენდის გამორიცხვა) + 24,000 ფე (75% × 32,000 ფე) (F მსს) = 505,250 ფე.
- (ვ) 25% × 32,000 ფე (F მსს) = 8,000 ფე.
- (ზ) 1,900 ფე (E მსს) + 75% × 5,000 ფე (F მსს) = 5,650 ფე.
- (თ) 25% × 5,000 ფე (F მსს) = 1,250 ფე.
- (ი) 220,000 ფე (E მსს) + 25,000 ფე (F მსს) გამოკლებული 75% × 25,000 ფე შიდაჯგუფური დივიდენდი გამოკლებული 25% × 25,000 ფე არამაკონტროლებელი წილისთვის გადახდილი დივიდენდი = 220,000 ფე.
- (კ) 25% × 25,000 ფე (F მსს) = 6,250 ფე.
- (ლ) 658,300 ფე (E მსს) გამოკლებული 75% × 31,000 დივიდენდის შემოსავალი (შიდაჯგუფური ოპერაციის შედეგად F მსს-სგან მიღებული დივიდენდის გამორიცხვა) + 75% × 40,000 ფე (F მსს) = 665,050 ფე.
- (მ) 25% × 40,000 ფე (F მსს) = 10,000 ფე.
- (ნ) 3,000 ფე ზარალი (E მსს) გამოკლებული 75% × 1,000 ფე შემოსულობა (F მსს) = 2,250 ფე წმინდა ზარალი.
- (ო) 25% × 1,000 ფე შემოსულობა (F მსს) = 250 ფე შემოსულობა.
- (პ) 320,000 ფე (E მსს) + 31,000 ფე (F მსს) გამოკლებული 75% × 31,000 ფე შიდაჯგუფური დივიდენდი გამოკლებული 25% × 31,000 ფე არამაკონტროლებელი წილისთვის გადახდილი დივიდენდი (F მსს-ს მიერ გამოცხადებული და E მსს-ს მიერ მიღებული დივიდენდისა და არამაკონტროლებელი წილის გამორიცხვა) = 320,000 ფე.
- (ჟ) 25% × 31,000 ფე (F მსს) = 7,750 ფე.
- (რ) 35,000 ფე F მსს-ს აქციების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს გამოკლებული 9,300(რ) ფე არამაკონტროლებელი წილის საბალანსო ღირებულების ზრდა = 25,700 ფე.
- (ს) 15% × 62,000^(ა) ფე F მსს-ს წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულება უშუალოდ არამაკონტროლებელ წილზე აქციების გაყიდვამდე = 9,300 ფე. ან: 15,500 ფე არამაკონტროლებელი წილი E მსს-სგან აქციების შექმნამდე × 15% ÷ 25% = 9,300 ფე.
- (ტ) 102,000 ფე F მსს-ს წმინდა აქტივებს წინა პერიოდის შეცდომის გასწორებამდე გამოკლებული 40,000 ფე წინა პერიოდის შეცდომის გასწორების შედეგი = 62,000 ფე წმინდა აქტივები უშუალოდ არამაკონტროლებელ წილზე აქციების გაყიდვამდე.

მოდული 6—საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

სიტუაციური მაგალითი 3

G მსს ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას 20X3 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია მისი ფინანსური შედეგებისა და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შესახებ 20X3 და 20X2 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის:

	20X3 ფე'000	20X2 ფე'000
ამონაგები	4,552	4,189
სხვა შემოსავალი	95	98
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(2,121)	(1,952)
მიწოდების დანახარჯები	(674)	(627)
ადმინისტრაციული ხარჯები	(989)	(954)
ფინანსური დანახარჯები	(83)	(77)
მოგების გადასახადი	(195)	(169)

20X3 წელს G მსს-მ გამოაცხადა და გასცა დივიდენდი 120,000 ფე-ს ოდენობით (20X2: 110,000 ფე).

20X2 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგებების შესადარის მონაცემებში G მსს-მ ასახა 1,104,000 ფე გაუნაწილებელი მოგება 20X2 წლის 1-ლი იანვრისთვის.

20X3 წელს, 20X2 წლის ფინანსური ანგარიშგებების გამოცემისთვის დამტკიცების შემდეგ, G მსს-მ აღმოაჩინა შეცდომა 20X1 წლის 31 დეკემბრის ფინანსურ ანგარიშგებაში. შეცდომის შედეგი იყო 450,000 ფე-ს ოდენობით მოგების გაზრდა 20X1 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

G მსს წარადგენს მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებას სრული შემოსავლის ანგარიშგებისა და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების მსგავსად.

მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად მოამზადეთ G მსს-ს მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 20X3 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

მოდული 6—საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

სიტუაციური მაგალითი 3 - პასუხი

G მსს-ს მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 20X3 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ათას ფულად ერთეულში)

	20X3	20X2 გადაანგარიშებული
ამონაგები	4,552	4,189
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	<u>(2,121)</u>	<u>(1,952)</u>
საერთო მოგება	2,431	2,237
სხვა შემოსავალი	95	98
კომერციული დანახარჯები	(674)	(627)
ადმინისტრაციული ხარჯები	(989)	(954)
ფინანსური დანახარჯები	<u>(83)</u>	<u>(77)</u>
მოგება დაბეგვრამდე	780	677
მოგების გადასახადის ხარჯი	<u>(195)</u>	<u>(169)</u>
მოგება წლის განმავლობაში	585	508
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისისთვის:		
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისისთვის (წინა პერიოდში ასახული)		1,104
წინა პერიოდის შეცდომის გასწორება		(450)
	1,052	654
გამოცხადებული და გაცემული დივიდენდები	<u>(120)</u>	<u>(110)</u>
გაუნაწილებელი მოგება წლის დასასრულისთვის	<u><u>1,517</u></u>	<u><u>1,052</u></u>

მოდული 6—საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

სიტუაციური მაგალითი 4

H მსს, რომელიც არის სრულ საკუთრებაში მყოფი ერთი შვილობილი საწარმოს, I მსს-ს, მშობელი საწარმო, ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას 20X3 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

კონსოლიდირებული ინფორმაცია ჯგუფის ფინანსური შედეგებისა და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შესახებ 20X3 და 20X2 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის მოცემულია ქვემოთ:

	20X3 ფე'000	20X2 ფე'000
ამონაგები	5,690	5,236
სხვა შემოსავალი	119	123
ცვლილებები მზა პროდუქციისა და დაუმთავრებელი წარმოების მარაგში	(635)	(136)
ძირითად საშუალებებზე კაპიტალიზებული მარაგი	320	162
გამოყენებული ნედლეული და მასალები	(3,181)	(3,234)
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი	(856)	(821)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(298)	(307)
სხვა ხარჯები	(83)	(79)
ფინანსური დანახარჯები	(101)	(98)
მოგების გადასახადი	(244)	(212)

20X3 წელს H მსს-მ გამოაცხადა და გასცა დივიდენდი 150,000 ფე-ს ოდენობით (20X2: 120,000 ფე).

20X2 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების შესადარის მონაცემებში, H მსს-მ ასახა 1,112,000 ფე გაუნაწილებელი მოგება 20X2 წლის 1-ლი იანვრისთვის.

20X3 წელს, 20X2 წლის ფინანსური ანგარიშგების გამოცემისთვის დამტკიცების შემდეგ, I მსს -მ აღმოაჩინა შეცდომა 20X1 წლის 31 დეკემბრის ფინანსურ ანგარიშგებაში. შეცდომის შედეგი იყო 650,000 ფე-ს ოდენობით მოგების გაზრდა 20X1 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

H მსს წარადგენს მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას ნაცვლად სრული შემოსავლის ანგარიშგებისა და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა.

მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად მოამზადეთ H მსს-ს მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების კონსოლიდირებული ანგარიშგება 20X3 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

მოდული 6—საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

სიტუაციური მაგალითი 4 - პასუხი

H მს-ს მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 20X3 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ათას ფულად ერთეულში)

	20X3	20X2 გადაანგარიშებული
ამონაგები	5,690	5,236
სხვა შემოსავალი	119	123
ცვლილებები მზა პროდუქციისა და დაუმთავრებელი წარმოების მარაგში	(635)	(136)
ძირითად საშუალებებზე კაპიტალიზებული მარაგი	320	162
გამოყენებული ნედლეული და მასალები	(3,181)	(3,234)
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი	(856)	(821)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(298)	(307)
სხვა ხარჯები	(83)	(79)
ფინანსური დანახარჯები	(101)	(98)
მოგება დაბეგრამდე	975	846
მოგების გადასახადის ხარჯი	(244)	(212)
მოგება წლის განმავლობაში	731	634
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისისთვის:		
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისისთვის (წინა პერიოდში ასახული)		1,112
წინა პერიოდის შეცდომის გასწორება		(650)
	976	462
გამოცხადებული და გაცემული დივიდენდები	(150)	(120)
გაუნაწილებელი მოგება წლის დასასრულისთვის	1,557	976